



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



საქართველოს არბიტრთა ასოციაციის აკადემია გთავაზობთ ვებინარს თემაზე:

ვირტუალური / დისტანციური საარბიტრაჟო პროცესი

ვებინარის ფარგლებშიც განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- ✓ „ვირტუალური/დისტანციური საარბიტრაჟო პროცესის არსი და თავისებურებები
- ✓ ვირტუალური/დისტანციური საარბიტრაჟო პროცესის რეგულირება ქართულ კანონმდებლობასა და სხვა იურისდიქციებში
- ✓ წამყვანი საარბიტრაჟო ინსტიტუტების პრაქტიკა ვირტუალური/დისტანციური საარბიტრაჟო პროცესების წარმართვასთან დაკავშირებით
- ✓ პრაქტიკული რეკომენდაციები ვირტუალური/დისტანციური საარბიტრაჟო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის



სემინარს წარუძღვება საერთაშორისო იურიდიული კომპანია „ჰოგან ლოველსის“ (Hogan Lovells International LLP) უფროსი იურისტი **ნატა ლობიძე**.

ნატა აღნიშნული ფირმის მიუნხენის ოფისში მოღვაწეობს საერთაშორისო კომერციული და საინვესტიციო არბიტრაჟის სპეციალიზაციით. მას წამყვანი საარბიტრაჟო წესების შესაბამისად სხვადასხვა იურისდიქციებში საქმეების წარმართვის დიდი გამოცდილება აქვს, განსაკუთრებით კი - ენერგეტიკის (ნავთობი, გაზი, განახლებადი ენერგეტიკა), სამშენებლო, ინფრასტრუქტურისა და საინჟინრო სექტორებში.

„ჰოგან ლოველსში“ დასაქმებამდე ნატა მუშაობდა ქალაქ ფრანკფურტში სხვა წამყვან საერთაშორისო იურიდიულ კომპანიაში (Linklaters LLP). საქართველოში იგი მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტში, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ცნობილ ქართულ იურიდიულ კომპანიაში.

ნატას მიღებული აქვს სამართლისა და ბიზნესის მაგისტრის ხარისხი ბუცერიუსის სამართლის სკოლასა და ოტო ბაისჰაიმის მენეჯმენტის სკოლაში და ბაკალავრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ნატა გახლავთ სხვადასხვა ორგანიზაციების აქტიური წევრი, მათ შორის საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC) საარბიტრაჟო საბჭოს და Russian CIS Arbitration Network (RCAN)-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.“

ვებინარი გაიმართება 2021 წლის 25 თვევრვალს | 17:00 საათზე

ვებინარი გაგრძელდება 90 წუთი, რომლის განმავლობაში ასევე იქნება კითხვა-პასუხის შესაძლებლობა



რეგისტრაცია